

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 26 დეკემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა. დანართის სახით გეგზავნებათ:

ოქმი № 1– 4(ოთხი) ფურცელი

სარეგისტრაციო № 1– 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე



კომისიის თავმჯდომარე
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის

ოქმი N1

ქ. ლანჩხუთი

26 დეკემბერი, 2017 წელი

14.00 საათი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი**.

საკრებულოს წევრები: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე**, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ელისო ჭიჭინაძე**, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე**.

საკრებულოს დეპუტატები: გოდერძი ქურიძე, სპარტაკ კვაჭაძე, ოთარ პატიეშვილი, გოგი მორჩილაძე, რეზო კვაჭაძე, კარლო კვიციანიშვილი, კახა ბოლქვაძე, აკაკი იმნაიშვილი, ლელა ჩახვაძე, ამირან გიგინეიშვილი, კახა თედორაძე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი **ნინო ძიძიგური**, საკრებულოს სამდივნოს მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია** და **თამარ ფირცხალაიშვილი**.

ა.(ა).ი.პ-ის ხელმძღვანელები და თანამშრომლები: ა.(ა).ი.პ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორი **გელა ზოიძე**, საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის სპეციალისტი **დარეჯან ბურჭულაძე**, საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის ბუღალტერი **ლელი მშვიდლობაძე**, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბუღალტერი **იათამზე ვადაჭკორია**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ექსპერიმენტული სარაგბო-საფეხბურთო სკოლის ბუღალტერი **კახა ურუშაძე**, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დირექტორი **გურამ იმნაიშვილი**, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ბუღალტერი **მედეა ხუხუნაიშვილი**, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის ბუღალტერი **ნატო კობალავა**, მთავარი ბუღალტერი **მარინა ქანთარია**, ა(ა)იპ უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის მენეჯერი **დავით ლომაძე**, ა(ა)იპ „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ ბუღალტერი **ლიანა ბლაგიძე**, ა(ა)იპ ლანჩხუთი სერვისის დირექტორი **თენგიზ ჭიჭილეიშვილი**, ბუღალტერი **ია გალოგრა**, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი **ადელინა კილაძე**, ბუღალტერი **ანზორ როყვა**, შპს „ლანჩხუთის“ ხელმძღვანელი **ლევან იმნაძე**, ბუღალტერი **თემურ ხუხუნაიშვილი**.

სამსახურის ხელმძღვანელები: მერიის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **მამუკა ვადაჭკორია**, საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი **როლანდ ლაშხია**, იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი **შოთა ჩაგუნავა**.
ექიმი **ნონა მურვანიძე**.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე**, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ შეხვედრის მთავარი თემა 2018 წლის პრიორიტეტებისა და ბიუჯეტის პროექტის განხილვა იყო.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა, **როლანდ ლაშხიაშვილმა განაცხადა**, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლებში პრიორიტეტები ძირითადად მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია: 1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; 2. განათლება; 3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი; 4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. 5. მმართველობა და თავდაცვა.

მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა მიმდინარე წლის შემოსავლების მობილიზაციის საკითხი და წინა ორი წლის ფაქტობრივი მდგომარეობა. ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 8 757 600 ლარით. სამშემოსავლო გადასახადი 2017 წელთან შედარებით შემცირებულია 100 000 ლარით და ამ კუთხით გათვალისწინებულია 450 000 ლარი, რაც უზრუნველყოფს სამშემოსავლო ნაწილის სტაბილურობას. მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში რეალურად იქნა გათვლილი საგადასახადო ბაზა, რომელიც ოპტიმალურად შესრულებადია. გათანაბრებითი ტრანსფერი განისაზღვრა 6 238 600 ლარით. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტი მთლიანად განისაზღვრა 8 757 600 ლარით, ხარჯვითი ნაწილი კანონის მიხედვით შეზღუდულია და არ უნდა აღემატებოდეს მიმდინარე წლის საკასო მაჩვენებელს. იგი განისაზღვრა 8 588 600 ლარით. ა.ა.ი.პ-ების დაფინანსება (სუბსიდირება) შეადგენს 5 297 000 ლარს. ამ ეტაპისთვის პროექტში ინფრასტრუქტურული კუთხით გათვალისწინებულია 205 000 ლარი. მთავრობის მიერ შესაბამისი განკარგულების მიღების შემდეგ მომავალი წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოეყოფა გარკვეული ფინანსები, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტში აისახება შესაბამისი ცვლილებების სახით. მუნიციპალიტეტის ყველა ა.ა.ი.პ-ის დაფინანსება ძირითადად დატოვებულ იქნა 2017 წლის დონეზე. გამონაკლისია მხოლოდ ორი ა.ა.ი.პ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“ და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ლანჩხუთი - სერვისი“, რადგან მათთან დაკავშირებით აუცილებელ ღონისძიებებს წარმოადგენს ბიუჯეტის გაზრდა. საკურორტო სეზონზე გრიგოლეთის სანაპირო ზოლის დასუფთავებასთან დაკავშირებით წინასწარ მისაღები იქნება დამატებითი ღონისძიებები, რომელთა შესახებ წინასწარ ეცნობება მთავრობას და შეთანხმების შემთხვევაში მოხდება მათი განხორციელება. 2018 წლისთვის იგეგმება გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები მუნიციპალიტეტის მერიაში. მომავალი წლის პირველ კვარტალში ძირითადი სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება ასევე ა.ა.ი.პ-ებში, რომელიც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალურ ბიუჯეტში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ფორმირება წლის ბოლოს დაიწყო და ამიტომ ვერ მოხერხდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენა. მთლიანად 2018 წელი მოხმარდება მოსამზადებელ პერიოდს პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლისთვის, გადამზადდება შესაბამისი კადრი და 2019 წელს გამართული ბიუჯეტი

გვექნება. ის იქნება შედეგებზე ორიენტირებული და არა ხელფასების გაცემაზე. მისი მოსაზრებით ახალი წლიდან ა(ა)იპ-ებში დაგეგმილია სტრუქტურული ცვლილებები, რომელიც საკმაოდ მტკივნეული პროცესი იქნება. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაო პროცესი. მუნიციპალიტეტში ეკონომიკური ფონი საკმაოდ მძიმეა, მაგრამ აუცილებლად ჩარჩოებში უნდა მოექცეს.

საგარეო-ეკონომიკური კავშირთა განვითარების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის სპეციალისტი **დარეჯან ბურჭულაძე** დაინტერესდა, თუ როგორ მოხდება ბიუჯეტის გადანაწილება ა(ა)იპ-ებისთვის და რამდენი ლარით განისაზღვრა სარეზერვო ფონდი, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განაცხადა, რომ ბიუჯეტი არ იქნება მხოლოდ სახელფასო ანაზღაურებაზე გათვლილი, აუცილებელია შედეგი დაიდოს. გადაიხედება როგორც ხელმძღვანელების, ასევე თანამშრომელთა ანაზღაურება და სამუშაო აღწერილობა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ სარეზერვო ფონდი 30 000 ლარით განისაზღვრა, ხოლო ხელფასების რაოდენობის 1% გათვლილია მოხელეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.

დარეჯან ბურჭულაძემ განაცხადა, რომ საფეხბურთო კლუბ „გურიას“ აქვს დავალიანება. იგი დაინტერესდა თუ ვინ იყო პასუხისმგებელი აღნიშნულ დავალიანებაზე.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განაცხადა, რომ კლუბის მენეჯმენტი განთავისუფლებულია, დეტალურადაა გამოსაკვლევი ფინანსური მხარე.

დარეჯან ბურჭულაძემ განაცხადა, რომ როგორც ცნობილია შუქის ტარიფი იმატებს. მან გამოხატა დაინტერესება იგეგმებოდა თუ არა სოციალურად შეჭირვებული ბენეფიციარებისთვის ფინანსური შეღავათები, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ სოციალურად დაუცველები, შუქის ძველი ტარიფით სარგებლობენ და ეს შენარჩუნდება.

საკრებულოს დეპუტატმა **ამირან გიგინეიშვილმა** განაცხადა, რომ 2018 წელს სამწუხაროდ ვერ ხერხდება პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლა, ამის გამო პრიორიტეტების დოკუმენტი ბუნდოვანია და ბევრგან მითითებული თანხა გაუგებარია. მან რამდენიმე საკითხზე ითხოვა განმარტება. მაგალითად: წყლის შეკეთება-რეაბილიტაცია; გარე განათების რეაბილიტაცია - მითითებული არ არის სად შესრულდება აღნიშნული პროექტი;

მოსახლეობის კმაყოფილება- საჭიროა მოსახლეობის გამოკითხვა, რაც გათვლილი არ არის. ეს რომ გამოიკვლიონ საჭიროა შესაბამისი კითხვარი ან უნდა ჩატარდეს კვლევები, რაც არ არსებობს;

4 500 000 ლარი გათვლილია კაპიტალური ტრანსფერისთვის, რაც ითხოვს 5%-იან მუნიციპალურ თანადაფინანსებას. ბიუჯეტში კი -0 ლარია. არაფინანსური აქტივები 45 000 ლარია გათვალისწინებული, შესრულებადია? ასევე ფაროსანასთან ბრძოლისთვის 0 ლარია გათვლილი; გრაფაში -გარე განათების ქსელის მოწესრიგებისთვის -აღნიშნულია 0 ლარი.

ალექსანდრე მახათაძემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, გიორგი ფაცურია და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ვლადიმერ ნანაძე იმყოფებიან ოზურგეთში, სურსათის უვნებლობის სააგენტოში შეხვედრაზე, სადაც გაირკვევა ფაროსანას წინააღმდეგ ჩასატარებელი ბრძოლის გეგმები.

ჰემოდიალიზის პროგრამაში, ყოველწლიურად ჩადებულია გარკვეული რაოდენობის თანხა. სასურველია მუნიციპალიტეტმა შეიძინოს შესაბამისი აპარატურა (რომელიც ერთი ერთეულის ღირებულება 2 000 ევროა, საჭიროა 5 ერთეული) და ლანჩხუთის რომელიმე კლინიკაში მოხდეს შესაბამისი მომსახურება. სამი წლის შემდგომ ეს დაფინანსება ამოვარდება სოციალური პროგრამიდან და თანხა დაიზოგება.

ასევე საბავშვო ბაღებში სოციალური პროგრამებიდან შესაძლებელია დაიგეგმოს ბავშვების ტრანსპორტირების თანადაფინანსება.

მუნიციპალიტეტის მერმა, ალექსანდრე სარიშვილმა განმარტა, რომ როდესაც მუნიციპალიტეტს ექნება პროგრამული ბიუჯეტი, შესაძლებელი გახდება ყველა სამსახურში წინასწარ დაგეგმილ შესასრულებელი სამუშაოები და ბიუჯეტი არ იქნება მხოლოდ ხელფასებზე გათვლილი.

2018 წელს დაგეგმილი არ არის ახალი, გარე განათყუების მონტაჟი, ხოლო არსებულის შეკეთება და მომსახურება შესაძლებელია ტენდერზე გაიყიდეს:

კაპიტალური პროექტის თანადაფინანსების თანხა, აუცილებლად გამოიყოფა, რადგანაც მილიონიანი პროექტი უკვე მზადაა, ასევე იგეგმება ჩაეშთა საფეხურით აკადემიის მშენებლობა, რომელსაც გვიმზადაურში, სადებურთო სკოლის ტერიტორიაზე მოიაზრება. ფეხბურთის ფედერაციაც თანახმაა, რომ მათი მხრიდან მოხდეს ფინანსური დახმარების გაწევა.

ნონა მურგანიძემ განაცხადა, რომ პროგრამული ბიუჯეტი აუცილებელია, ის გაშვებულად უნდა იყოს რეგიონი მოქალაქეებისთვის. იგი დაინტერესდა შესრულდა თუ არა პროექტების გეგმა, რაზეც როლანდ ლაშვიამ განაცხადა, რომ საპრივატიზებო გეგმა ვერ შესრულდა, ამიტომ 2018 წელს არაფინანსური აქტივები უფრო ნაკლები ჩაიდო 45 000 ლარი.

ნონა მურგანიძემ განაცხადა, რომ გასულ წლებში ფინანსდებოდა „სოფლის პროგრამა“ ამჟამად ეს პროექტები ამოღებულია. იგი დაინტერესდა როგორ მოხდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალიტეტის მერმა, ალექსანდრე სარიშვილმა განმარტა, რომ გაგრძელდება სამუშაოები, რომ სოფლები წყლით უზრუნველყონ. პარალელურად თუ იქნება წარმოდგენილი პროექტები და თუკი მოხდება მათი მოწონება აუცილებლად დაფინანსდება.

დეპუტატმა ლელა ჩახვაძემ განაცხადა, რომ მან წერილობით მიმართა ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებს, რომ წარმოედგინათ სამტატო ნესხისა და სახელფასო მონაცემების ჩამონათვალი, მაგრამ სამუშაოებზე მხოლოდ ერთმა სამსახურმა მიაწოდა ინფორმაცია. გაირკვა, რომ თანამშრომელთა ანაზღაურება იყო არათანაბარი.


მუნიციპალიტეტის მერმა, ალექსანდრე სარიშვილმა განაცხადა, რომ სტრუქტურული ცვლილებების შემდგომ აუცილებლად გადაიხედება სახელფასო ანაზღაურებაზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „უფასო სასაბუღალტრო მზრუნველობა მოკლებულიათვის“ ხელმძღვანელმა დავით ლომამემ განაცხადა, რომ ისინი 94 ხუნეფიციარს ემსახურება, სოფლებში ოჯახებში მიაქვთ სადილი, ტრანსპორტი მწყობრიდანაა გამოსული და საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს, რისთვისაც დამატებითი თანხები საჭირო.

მუნიციპალიტეტის მერმა, განაცხადა, რომ აუცილებლად გადახედავს პროგრამას და განიხილავს შესაბამის სამსახურთან ერთად.

ამით 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა დასრულდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე:  ალექსანდრე მახათაძე

26 ապրիլի 2017 թ
Կոնգրեսային Երևան

- 1. Գրքերի փոխառում
- 2. Երևանի Գրքերի
- 3. Երևանի Գրքերի

[Handwritten signature]
 Երևանի Գրքերի

- 1. Երևանի Գրքերի
- 2) Գրքերի փոխառում (Կոնգրեսային Երևանի Գրքերի)
- Երևանի Գրքերի
- Երևանի Գրքերի

Կոնգրեսային Երևանի Գրքերի

Երևանի Գրքերի - Երևանի Գրքերի Կոնգրեսային Երևանի Գրքերի

Երևանի Գրքերի Կոնգրեսային Երևանի Գրքերի

Երևանի Գրքերի Կոնգրեսային Երևանի Գրքերի

ս(ա)՝ Կոմիտեի անդամ - Պրոֆ. (Չ. Կոմիտեի անդամ)
ս(ա)՝ Կոմիտեի անդամ - ՆՈՒՆԱՆԷ (Չ. ՆՈՒՆԱՆԷ) | Յ. Բ. Բ.
Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ.

Ստանդարտ անդամ - Չ. Բ. Բ.
Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ.

Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ.

Չ. Բ. Բ. Կոմիտեի անդամ, Չ. Բ. Բ. Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ. 12. 3. 2000

ս(ա)՝ Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ. 18. 9. 2000
Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ.

Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ.
Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ.

Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ.
Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ.

Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ.
Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ.

ս(ա)՝ Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ.
Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ.
Կոմիտեի անդամ - Չ. Բ. Բ.